ხელშეკრულება №3
შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 23 იანვარი 2014 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „ დილა"GEORGIA Gori Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze (შემდგომში – „შემსყიდველი"), მისი დირექტორის ზვიად შერმადინის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „კომპაუდი"** (შემდეგში შემსრულებლად წოდებული) მისი **მინდობილი პირის ნუგზარ ხიჯაკაძის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „ დილა"GEORGIA Gori Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და სალიცენზიო დოკუმენტაციათა მომზადება, რაც მოიცავს შემდეგს:

ა) დამკვეთის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (ISA 700) და საგადასახადო აუდიტი;

ბ) დამკვეთის ტრანსფერების შედეგად საფეხბურთო კლუბების მიმართ წარმოქმნილი ვადაგადაცილებული ვალდებულებების არქონის დასადასტურებლად შეთანხმებული პროცედურები (ISRS 4400);

გ) თანამშრომელთა მიმართ დამკვეთის ვადაგადაცილებული ვალდებულებების არქონის დასადასტურებლად შეთანხმებული პროცედურები (ISRS 4400)

დ) საგადასახადო ორგანოების მიმართ დამკვეთის ვადაგადაცილებული ვალდებულებების არქონის დასადასტურებლად შეთანხმებული პროცედურები (ISRS 4400)

ე) დამკვეთის მოსალოდნელი (დაგეგმილი) ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით შეთანხმებული პროცედურები (ISRS 4400);

2. შემსრულებლის მიერ შესასრულებელი სამუშაო ასევე მოიცავს საფაქრთველოს ფეხბურთის ფედერაციისა და UEFA-ს მოთხოვნების შესაბამისად საკლუბო ლიცენზირებისთვის საჭირო ფინანსური დოკუმენტაციის (ცხრილების) მომზადებას, მიუხედავად იმისა, აღნიშნული გათვალისწინებული არის თუ არა ხელშეკრულების 1.1 მუხლში.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. შესყიდვის ობიექტია- აუდიტორული მომსახურება (CPV კოდი 79200000) ღირებულება 4800 (ოთხიათას რვაასი)ლარი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2014 წლის 10 მარტამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. გორი, გურამიშვილის ქ. №5.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა)

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. და 6.1. მუხლებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

–შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

–მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

–მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2014 წლის 10 მარტამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით,
როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „დილა“
GEORGIA Gori Municipality NLP Football Club DILA
under Tengiz – Burjanadze

მისამართი: გორი, ბურამიშვილის ქ. № 5

საბანკო რეკვიზიტები: ლიბერთი ბანკის შიდა ქართლის რეგ. ფილიალი, ბ/კოდი LBRTGE22
ანგ. N: GE34LB0115187811409000, ს/კ 417874973

დირექტორი: _____ ზ.შერმადინი

„მიმწოდებელი“

შპს „კომპაუდი“
მისამართი: ქ.თბილისი,ბაქრაძის ქ.#6
ს/ს: სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE 62 BG 000 000 0 192 631 800
ს/კ 202385169

დირექტორის მიხდობილი პირი
ნ.ხიჯაკაძე